# ხელშეკრულება

№ 532

ქ. ზუგდიდი „13“ სექტემბერი 2013 წ

სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთად" წოდებული), მისი დირექტორის ია გარდავას სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული-პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში ,,დაცვად" წოდებული), მისი უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის **მერაბ ლიპარტიას** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დაცვა“ უზრუნველყოფს 2013 წლის 9 სექტემბრის № 898 მოკვლევის აქტის საფუძველზე სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის დაცვას (შემდგომში „ობიექტად" წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. N 69.

1.2 ,,ობიექტის" დაცვა (პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაციით) განხორციელდება ,,დამკვეთის" მიერ ,,ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და ,,დაცვის" მიერ ,,ობიექტის" დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3,,ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო;

## მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მოსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს, დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

2.2 ანგარიშწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან მეორე თვის ათ რიცხვამდე;

2.3 ,,დაცვის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო;

## მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „დაცვა“ ვალდებულია:

3.1.1 დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცეს „დამკვეთს“ რადიო გადამცემი, რადიო გადამცემის ყუთი, რადიო გადამცემის პლატა და უზრუნველყოს მათი მონტაჟი--ინსტალაცია;

3.1.2 ცენტარლიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს „ობიექტზე“ გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;

3.1.3 „ობიექტზე“ მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ,,დამკვეთს" და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობ;

3.1.4 „დამკვეთს“ ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.5 სიგნალ „განგაშის“ მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად – გამოიძახოს „დამკვეთი“ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.6 არ მიიღოს „ობიექტი“ დაცვაში, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის გამოც „დაცვისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „დამკვეთს“ ეცნობება წინასწარ;
3.1.7 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „დაცვის“ ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „დამკვეთის“ დაუდევრობამ;

3.2 ,,დამკვეთი” ვალდებულია:

3.2.1 „ობიექტის“ დაცვაზე მიღება–ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი (სანდო პირი) და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;
3.2.2 განგაშის შემთხვევაში „დაცვას“ მისცეს დასაცავი ,,ობიექტის” გახსნისა და დათვალიერების საშუალება;
3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;
3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „დაცვას“ დაელოდოს „დაცვის“ წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;
3.2.5 ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;
3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს საკუთრება და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „დამკვეთისათვის“) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი—საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება—ჩაბარების აქტის “ბ” პუნქტით;
3.2.7 უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
3.2.8 არ დაუშვას „შემსრულებლის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და დამკვეთისათვის მიყენებულ ზიანზე;
3.2.9 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „დაცვას“;
3.2.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის "ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს დაცვის წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე;

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 15 სექტემბრიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

„ვეთანხმები“

ზუგდიდის დაცვის პოლიციის სამსახურის
უფროსი, პოლიციის მაიორი

/ზ.კილასონია/

„ვეთანხმები“

ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების
მთავარი სპეციალისტი (იურისტკონსულტი)
პოლიციის კაპიტანი

/მ. აბაკელია/

„ვეთანხმები“

ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების
უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი

/ლ. გელენავა/

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული „ობიექტის“ მოკვლევის აქტი;

6.2. „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურეობის „ტარიფის“ გაზრდის ან შემცირების შესახებ,რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს „დამკვეთს“. თუკი აღნიშნული ვადის გასვლამდე „დაცვამ“ არ მიიღო შეტყობინება „დამკვეთისგან“ იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს.

6.5. დაცვა უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის "ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;

6.6. დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების "ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობები წარმოადგენს დაცვის საკუთრებას;

6.7. სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.8. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

6.9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2012 წლის 15 სექტემბრის N 545 ხელშეკრულება.

ხელშეკრულება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება „დამკვეთთან“, ოთხი „შემსრულებელთან“;

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

"დამკვეთი"

სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლა, ს/კ 219986629.. ქ. ზუგდიდი. პუშკინის ქ. N 157.

სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE 22 ა/ა GE 84 LB 0121148151852000 ტელ: 593 30 20 62

დირექტორი: /ი. გარდავა/

"დ ა ც ვ ა"

შსს სსიპ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო ს/კ N211350928, ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. N 6 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGA GE 22, ა/ა - GE61BG0000000308831901

სამმართველოს უფროსი: /მ. ლიპარტია/

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

N 1889574

„24" სექტემბერი 2013 წ.

სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის

დირექტორი

ი. გარდავა

გეგზავნებათ, სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის პერიოდული მოკვლევის აქტი.

პატივისცემით

სამმართველოს უფროსი

პოლიციის პოლკოვნიკი: მერაბ ლიპარტია

„ვამტკიცებ“

საქართველოს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი

მ. ლიპარტია

„ 9 “ სექტემბერი 2013 წ.

„ვამტკიცებ“

სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის

დირექტორი

ი. გარდავა

„ 9 “ სექტემბერი 2013 წ.

სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის
პერიოდული მოკვლევის

აქტი N 898

ქ. ზუგდიდი

„ 9 “ სექტემბერი 2013 წ.

კომისიამ, სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს დაცვის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეგანყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის მაიორმა პ.ვაშაკიძემ, ზუგდიდის დაცვის პოლიციის სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორმა, პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა კ.ადამიამ და სსიპ ზუგდიდის N 8 საჯარო სკოლის დირექტორმა ია გარდავამ მოვახდინეთ კომპიუტერული ლაბორატორის ოთახის მოკვლევა (შემდგომში „ობიექტად“ წოდებული) მისი ტექნიკური მდგომარეობისა და მასში დამონტაჟებული პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაციის თვალსაზრისით.

მოკვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი:

ობიექტი მდებარეობს ქ. ზუგდიდში, პუშკინის ქ. N 69–ში ორსართულიანი კაპიტალური შენობის მეორე სართულზე და უკავია ერთი ოთახი. ობიექტს გააჩნია რკინის მასალისგან გამზადებული შესასვლელი კარი, მდგრადი საკეტებით და ორი მეტალოპლასმასის კონსტრუქციის ფანჯარა აღჭურვილი რკინის გისოსებით,

ობიექტის ჭერი იატაკი და კედლები კაპიტალურია.

ობიექტი ზუგდიდის დაცვის პოლიციის სამსახურთან დაშორებულია 4 კმ. მანძილით და „ობიექტის“ დაცვა ხორციელდება „დამკვეთის“ მიერ „ობიექტის“ დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და „დაცვის“ მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

ტექნიკური გამაგრების თვალსაზრისით:

1.ობიექტზე არსებულ მეტალოპლასმასის კონსტრუქციის ფანჯარას გადაეკვრას მსხვრევის საწინააღმდეგო ფირი.

# ს ქ ე მ ა



| | |
|---|---|
| | რადიოგადამცემი |
| | კლავიატურა |
| | მოძრაობის დეტექტორი |
| | აკუმლატორი და დასამუხტი |
| | მაგნიტური კონტაქტორი |
| | საკონტროლო პანელი |
| | მსხვრევის დეტექტორი |